ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწდეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

XIII 2021

მეაბრეშუმეობის აღორძინება კახეთში – რეგიონის სოციალური პასუხისმგებლობა

Revival of the silk industry in Kakheti – social responsibility of the region

მზია ხოსიტაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

Mzia Khositashvili
Georgian Tecnical University
Georgia, Tbilisi

ABSTRACT

Sustainable development goals have been adopted to achieve a better and more sustainable future for the entire planet. Defined by all UN member states by 2030 at the 70th session of the UN General Assembly in 2015. These goals address the contemporary global challenges we face: poverty, inequality, prosperity, peace, and justice, as well as climate and environmental challenges.

The article focuses on creating additional jobs in the Kakheti region, protecting cultural heritage, and the revival of silkworm breeding as one of the leading industrial sectors in Georgia.

The article shows the historical sources from the introduction of the silkworm in the fifth century to the production of silk in Georgia in the Middle Ages and its development as an industrial sector in the late 19th century and the 1920s of the 20th century.

Silk production in Georgia is considered an ancient agricultural sector, cultural heritage, and one of the characteristics of the Georgian identity. In the 60s of the 20th century, Georgia produced 4.5-5.0 million meters of natural silk fabric, and 100-120 thousand families were employed in silk production. In Kakheti, almost all the families living on the banks of the Iori and Alazani were busy taking care of mulberry silkworms. In the 60s of the last century, 4.0-4.5 thousand tons of silk were produced annually in Georgia.

Considering the views, reports, various studies, press releases, and sustainable development goals expressed in the scientific circles on the issues of silkworm breeding, the opinion is expressed that if the leadership of the Kakheti region with

the Georgian government consistently follows the 20-year-old It has been around for centuries and in just 50 years, due to the economic-political crisis or other problems, it has again become a source of employment and additional income for the population.

Kakheti region has the resources, in line with the goals of sustainable development, to revive the forgotten sector, which will contribute to the development of rural family businesses, employment of vulnerable people, as well as the introduction of new directions in the tourism industry.

The population will also become more active and contribute to the community, making the region more attractive to young people, investors, and tourists alike.

საკვანძო სიტყვები: მეაბრეშუმეობა კახეთში, დასაქმების ხელშეწყობა, ტურიზმი, კულტურული მემკვიდრეობა.

Keywords: silkworm breeding in Kakheti, employment promotion, tourism, cultural heritage.

გაეროს წევრი ყველა ქვეყნისთვის 2015 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიაზე მიღებული მდგრადი განვითარების მიზნები პრიორიტეტულად მიიჩნევს სიღარიბისა და უმუშევრობის დაძლევას, შესაბამისად, მოსახლეობის თანასწორობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობას. ამისთვის მსოფლიოს ქვეყნებისთვის შემუშავებულია სიღარიბის დაძლევის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფუძნებაში მოსახლეობის დახმარებას, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასაქმებას სხვადასხვა მცირე და საოჯახო წარმოებებში, მათ ჩართვას პროდუქტების განვითარებასა და გაყიდვაში.

მდგრადი განვითარების მიზნებში საქართველოსთვის მისადაგებულია 94 ამოცანა და 202 სამიზნე ინდიკატორი (მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი). ბუნებრივია, ამ კონცეფციის შესრულებისთვის მნიშვნელოვანია რეგიონების ჩართულობა და სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინება, რაც განისაზღვრება რეგიონის საბაზო დარგების ხვედრითი წილით ქვეყნის პროდუქციის საერთო მოცულობაში, რესურსების პოტენციალით, ტრადიციული დარგების აღორძინებითა და ხელშეწყობით, მოსახლეობის მენტალიტეტით და ა. შ.

საქართველოს აქვს სიღარიბისა და ეკონომიკური უთანასწორობის დაძლევის რესურსი. ამ მიმართულებით მთავრობას, უცხოურ და სათემო ორგანიზაციებს მრავალი ერთობლივი პროექტი აქვთ განხორციელებული, თუმცა სოფლად ეს პრობლემა მაინც მწვავედ დგას. რა უშლის ხელს სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობას?

საქართველოში ტრადიციულ დარგად სოფლის მეურნეობა მიიჩნევა, რომელშიც პრიორიტეტულად მევენახეობა-მეხილეობას განიხილავენ, იმის მიუხედავად, რომ ქვეყანას, თავისი ბუნებრივი კლიმატური პირობებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, აქვს სხვა, წარსულში წარმატებული დარგების, მათ შორის მეაბრეშუმეობის განვითარების საშუალებაც.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანია და წარმოდგენილია 40 დასახელებით, საზოგადოებრივ და გარესამყაროს გამოცდილებასთან, ხელოსნობის დარგებისა და ტექნოლოგიების მნიშვნელობის მიხედვით 13 დარგიდან 2018 წლიდან ჩამონათვალში მეაბრეშუმეობაც შედის. ყველა დარგი აგრძელებს განვითარებას და საქართველოს ეკონომიკაში გარკვეული წვლილის შეტანას, თუ არ ჩავთვლით ცხავატურ მეთუნეობას (ცხავატი ოკუპირებული ახალგორის ტერიტორიაზეა მოქცეული) და მეაბრეშუმეობას.

ისტორიული წყაროების მიხედვით, აბრეშუმის ჭია და აბრეშუმი ვახტან გორგასალს მეხუთე საუკუნეში შემოუტანია მას შემდეგ, რაც სპარსეთის მეფეს გაჰყოლია ინდოეთს სხვადასხვა ხალხების დასაპყრობად. „აქედგან, სხვა განძეულთა შორის, დაბრუნებისას მოიტანეს ქართველებმა აბრეშუმის ჭიის თესლი“ (ჯანაშვილი 1894: 41). მეურნეობის ამ დარგის განვითარებაც ამ პერიოდიდან იწყება. შემდგომ აბრეშუმის წარმოება ისე განვითარებულა, რომ ქვეყანა არა მხოლოდ სელისა და ბამბის, არამედ აბრეშუმის ნედლეულიდან მიღებულ ნაწარმსაც უკვე საექსპორტოდ იყენებდა „IX საუკუნიდან მოყოლებული, აბრეშუმის ქსოვილები თანდათან იკავებენ პირველ ადგილს საექსპორტო საქონელში” (ჯავახიშვილი 1962: 169).

საქართველოში მოგზაურობით მიღებულ შთაბეჭდილებებში უცხოელი მოგზაურები, საქმიანობისა და ინტერესების მიუხედავად, ხშირად ამახვილებენ ყურადღებას ქართულ სამოსზე, აბრეშუმის ქსოვილის წარმოებასა და უცხოურ ბაზრებზე მის პოპულარობაზე. მე-13 საუკუნის არაბი გეოგრაფის ზაქარია ალ კაზვინის ცნობით, ქსოვილით მდიდარი საქართველოდან გაჰქონდათ „მრავალნაირი ნაბდები, ტანსაცმელი, ფაქიზი ნოხები, ქვეშაგები, თხელი შალი, აბრეშუმი და მისთანანი“ (ალ კაზვინი 1975: 40).

მე-13 საუკუნეში მცხოვრები ვენეციელი ვაჭარი, მოგზაური და მწერალი მარკო პოლო წერდა, რომ აბრეშუმის ძაფიდან აქ ქსოვდნენ ოქროქსოვილებს, ამ უკანასკნელს განსაკუთრებით თბილისში ამზადებენო (აბესაძე 1957: 146).

კარგად აწყობილ აბრეშუმის წარმოებაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ შუა საუკუნეებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აბრეშუმის წარმოება იბეგრებოდა და მოსახლეობა ხარკს აბრეშუმის ნაწარმითაც იხდიდა. კახეთის მეფე ოსმალეთს წლიურად 30 საპალნე აბრეშუმს უხდიდა. XVI-XVII სს. კახეთში მეაბრეშუმეობა უკვე ისე ყოფილა განვითარებული,

რომ აბრეშუმი ღვინოსთან, ოქროქსოვილებსა და ბედაურებთან ერთად საგარეო ვაჭრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგანს შეადგენდა (აბესაძე 1957: 148).

„XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან მოყოლებული, საქართველოდან ირანში გაჰქონდათ ნედლი აბრეშუმი. უცხოელი ვაჭრები (ისევე, როგორც ადგილობრივნი) თბილისში ყიდულობდნენ ქართული აბრეშუმის ფაბრიკატს, ხოლო შემდეგ უფრო ძვირად ყიდდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებში“ (სანიკიძე... 2011: 130).

მე-17 საუკუნეში აბრეშუმის წარმოების მოცულობასა და ნედლი აბრეშუმის გატანასთან დაკავშირებით ფრანგი მოგზაური და ძვირფასი ქვებით მოვაჭრე ჟან შარდენიც შენიშნავს: „საქართველოში ბევრი აბრეშუმი მოდის, მაგრამ იმდენი კი არა, რამდენსაც მოგზაურები ამბობენ. იქაურებმა კარგად არ იციან აბრეშუმის მოვლის ხერხი. აბრეშუმი გააქვთ ოსმალეთში, არზრუმში და სხვა გარეშე ქვეყნებში, სადაც კარგ ფასად ჰყიდიან“ (შარდენი 1935: 110).

ბუნებრივია, აბრეშუმი სხვა საქონელში გადაცვლის საგანიც შეიძლება ყოფილიყო, რასაც, სხვა წყაროებთან ერთად, დასავლეთ საქართველოში აბრეშუმის თურქეთიდან შემოტანილ საქონელში გაცვლის შესახებ იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის მოგზაურობის ჩანაწერებიც ადასტურებს (ლამბერტი 1938: 143).

მოსახლეობა სამოსად, ბამბის, ბეწვეულისა და შალის ქსოვილებთან ერთად აბრეშუმს რომ იყენებდა, საქართველოში გავრცელებული ქსოვილების შესახებ მუზეუმებში დაცული ქსოვილების ფრაგმენტების კვლევის შედეგებიც მოწმობს. ფრესკებზე გამოსახული ქტიტორებისა და დიდებულთა ჩაცმულობა აბრეშუმის უმაღლეს ხარისხზე მეტყველებს. მათგან საქართველოში წარმოებული აბრეშუმის ქსოვილიც უნდა იყოს. სამეფო კარის წევრები და თავადაზნაურობა უხვად გამოიყენებდნენ ძვირფას ქსოვილს, რომელსაც უმეტესად აბრეშუმი შეადგენდა. „მატერიალური უზრუნველყოფის შემთხვევაში ქალებსა და კაცებს ყვავილებით მოქარგული აბრეშუმის მდიდარი სამოსი აცვიათ“ (კალანდია... 2017: 135). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, ნაქარგობა, ტანსაცმლის გარდა, საოჯახო თეთრეულსაც ამშვენებდა. ამ ხელსაქმისთვისაც აბრეშუმის ძაფი იყო საჭირო. საქართველოს ბაზრებზე შინამრეწველური წესით დამზადებულ აბრეშუმის ქსოვილსაც (დარაია, ანუ თავთა, მერდინი) დიდი გასავალი ჰქონია. საექსპორტოდ გატანილი ქართული ოქრომკედით ნაქარგობა კი მთელ აზიაში საუკეთესო ნახელავად ითვლებოდა და ძვირადაც ფასობდა (იქვე: 331).

სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერებამ ხელი შეუწყო ქართული აბრეშუმის ცნობადობის გაზრდას და მისი ხარისხის აღიარებას. მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოდან ნადირის ბეწვეულთან, ბამბის ქსოვილებთან, შავ გიშერთან და ცვილთან ერთად აბრეშუმიც გაჰქონდათ. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო ქართულ ოქროქსოვილებზე (დუმბაძე 1973: 89-92).

ადგილობრივი და უცხოური ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, 1828 წელს ფრანგ ვაჭარს, კასტელას თბილისში აბრეშუმსახვევი ფაბრიკა გაუხსნია. აქ წარმოებული პროდუქცია ადგილზეც იყიდებოდა და უცხოეთშიც მოთხოვნით სარგებლობდა.

აბრეშუმის ნედლეულის გადამუშავება რუსეთის იმპერიასაც სარფიან საქმედ მიაჩნდა. ამისთვის ამიერკავკასიაში 1836 წელს დაუარსებიათ „მეაბრეშუმეობისა და სავაჭრო მესარეწეობის გამავრცელებელი აქციონერული საზოგადოება“, რომლის საქმიანობამ ხელი შეუწყო კავკასიაში მეაბრეშუმეობის აყვავებას. 1844 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში აღრიცხული იყო 3 ათასზე მეტი შინაური დაზგა, რომლებზედაც ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილებს ამზადებდნენ. ქუთაისის მაზრაში ათასამედე დაზგას ამუშავებდნენ. 1848 წელს აბრეშუმის გადამუშავებას უკვე 210 000 ოჯახი აწარმოებდა.

დარგის სპეციალისტები თვლიან, რომ მეაბრეშუმეობა აღმავლობას მე-19 საუკუნის 50-იანი წლებში განიცდიდა და 60-იანი წლებიდან კარგად განვითარებული აბრეშუმის წარმოება საქართველოს სოფლის მეურნეობის მძლავრ ეკონომიკურ ბერკეტს წარმოადგენდა. ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოში არსებულ აბრეშუმსახვევ საწარმოებში დამზადებული აბრეშუმი იყიდებოდა რუსეთში, კონსტანტინოპოლსა და საფრანგეთში (https://agrokavkaz.ge/). რომ არა 60-იან წლებში საფრანგეთიდან გავრცელებული აბრეშუმის ჭიის დაავადება, დარგი კიდევ უფრო მეტს შემატებდა ეკონომიკას.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ საქართველოში, შორეულ წარსულში მოხერხდა სრულიად უცხო წარმოების ათვისება, შემდგომ მისი განვითარება და წარმოების მაღალ დონეზე აყვანა. დაავადების გავრცელების შემდგომაც, მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან ისევ აღდგა აბრეშუმის წარმოება.

იმ პერიოდის მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკა, აბრეშუმის თესლის შემოტანისა და თუთის ნარგავების გაშენების გარდა, მოსახლეობის ჩართულობასა და დაინტერესებაზეც ზრუნავდა. მთავრობა პრესის საშუალებით მუდმივად ავრცელებდა ინფორმაციას დარგისა და მისი განვითარების შესახებ. მაგალითად, გაზეთი „კომუნისტი“ 1923 წლის აპრილს აბრეშუმის მსოფლიო ბაზრებზე არსებულ მდგომარეობას მიმოიხილავდა, მოსახლეობას მილანის ბაზრებზე იტალიური ლირის მერყეობის გამო აბრეშუმის ფასების არამდგრადობასა და პარკის ფასების დაწევას, ციურიხის ბაზრებზე მორიგებების სიმცირესა და მტკიცე ფასებზე, აგრეთვე, ამერიკაში სამომხმარებლო ბაზარზე აბრეშუმზე ინტენსიური მოთხოვნილებისა და, ამასთან, ნიუ-იორკში მორიგებების შემცირებების შესახებ აუწყებდა.

1923 წლის ოქტომბერში გაზეთ „კომუნისტის“ ცნობით, მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე სამ უმაღლეს ჯილდოთაგან ერთ-ერთი საქართველოს პავილიონს დაუმსახურებია ქართული მეაბრეშუმეობისა

და მეფუტკრეობს ექსპონატების წარმოდგენისთვის (კომუნისტი 1923, №248: 3).

მეაბრეშუმეობის ფართოდ გავრცელებისა და მოსახლეობის დასაქმების, სწავლების მიზნით შესაბამისი კურსებიც არსებობდა. მოსახლეობას იწვევდნენ თბილისის სააბრეშუმო სადგურთან გახსნილ მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის კურსებზე. ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები მიზნად ისახავდა მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის ჭიის თესლის დამზადების (გრენაჟის) ინსტრუქტორების მომზადებას. კურსების მსმენელებს მოეთხოვებოდათ საზაფხულო სამუშაოებზე პეპლების შეკრება, მათი მიკროსკოპით გასინჯვა, თესლის გარეცხვა და ა.შ. (კომუნისტი 1924, №100: 3).

ისტორიულად, საქართველოში აბრეშუმის მოყვანისთვის სასურველ ადგილად დასავლეთში სამეგრელო და იმერეთი ითვლებოდა (აქ ამოქმედებულა 1895 წელს პირველი ძაფსაღები ფაბრიკა, საიდანაც მარსელში, ლიონსა და მილანში 100 ტონაზე მეტი პარკი იგზავნებოდა). ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის ცენტრი ხონი იყო. აღმოსავლეთ საქართველოში კი – კახეთი მიიჩნეოდა მეაბრეშუმეობისთვის შესაფერის ადგილად. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „...და ჰერეთის ქუეყანას აკეთებენ ყოველგან აბრეშუმს, არამედ უფროს გაღმა-მჴარსა შინა და უმეტეს ელისენში“ (ლომოური 1941: 103).

იმდროინდელ საბჭოთა პრესაში კახეთში აბრეშუმის ჭიის მოვლა-პატრონობასა და ხელისშემშლელ პირობებზე არაერთი ინფორმაცია დაბეჭდილა. დაწვრილებით განიხილავდნენ აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმის შესრულებას, იმ პრობლემებს, რომელსაც დაბრკოლებად მიიჩნევდნენ ხელახლა აღორძინებული დარგის განვითარებაში. „გარე კახეთის მოსახლეობა კარგა ხანია მისდევს მეაბრეშუმეობას. სამწუხაროდ, მეაბრეშუმეობის ეს დარგი დღემდე არ არის დაყენებული თავის სიმაღლეზე, ხელმძღვანელობა ამ საქმეზე მოისუსტებს; მოსახლეობას ვერ ეწევა სათანადო აგროკულტურული დახმარება“ (კომუნისტი 1931, №74: 2). გეგმის მატებასთან ერთად არ იზრდებოდა საკვები მასალა და არც გლეხი ზრუნავდა თუთის ხეების გაშენებისთვის, კვალიფიკაციის ამაღლებას ითხოვდნენ კახეთის აბრეშუმის წარმოებაში დასაქმებულები.

საგაზეთო პუბლიკაციებში ყურადღება მიპყრობილი იყო თელავზე, როგორც მეაბრეშუმეობის მრეწველობისათვის საუკეთესო აბრეშუმის მოყვანით ცნობილ ძლიერ რაიონზე. 20-იანი წლების ბოლოს თელავს ჰქონია ტექნიკურად საუკეთესოდ მოწყობილი ძაფსაღები ქარხანა 300-ზე მეტი დასაქმებული მუშით; თუმცა მეურნეობის ამ ძვირფასი კულტურის განვითარების საქმეს არც აქ ჰქონია სათანადო ყურადღება რაიონის ხელმძღვანელობის მხრიდან, სამწუხაროდ, თვით მეაბრეშუმეობის სექციასაც მთელს კახეთში მხოლოდ ერთი აგრონომ-ინსტრუქტორი ემსახურებოდა.

მიუხედავად სამეურნეო ხასიათის ხარვეზებისა, მეაბრეშუმეობით კახეთში თითქმის ყველა ოჯახი იყო დაკავებული, ეს საქმიანობა მძიმე ფიზიკურ შრომას არ მოითხოვდა და ამიტომ ოჯახებში ჭიას უმეტესად დიასახლისები, ხანდაზმულები და მოზარდები უვლიდნენ. მოსავლელი ჭიის რაოდენობა ოჯახის შემოსავალზეც აისახებოდა, ამავე დროს ხდებოდა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ახალგაზრდა თაობის სამომავლოდ პერსპექტიულ საქმიანობაში ჩაბმა და მათი შრომითი უნარების გამომუშავება.

სოციალისტურ სისტემაში აბრეშუმის წარმოება კონცენტრირებული იყო მხოლოდ ინდივიდუალურ სექტორში, ქვეყანაში წარმოებული პარკის საერთო რაოდენობაში „საკარმიდამო" მეაბრეშუმეობის ხვედრითი წილი 95-98%-ს შეადგენდა (ნიკოლეიშვილი 2014: 50). ფიზიკურ პირს სახელმწიფო აძლევდა გრენაჟს და არსებული სტანდარტების შესაბამისად იბარებდა მისგან წარმოებულ აბრეშუმის პარკს. შემდგომ მისი გამოყენება ხდებოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ინფრასტრუქტურულ საწარმოებში.

1964 წელს თუთის მიკოპლაზმური დაავადების, ფოთლის სიხუჭუჭის გავრცელებამ დასავლეთ საქართველოში და შემდეგ, 1992 წელს, კახეთში მილიონობით თუთის ხე გაანადგურა, შემდგომ, საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარებისა და გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიაზე გადასვლის, საყოველთაო უმუშევრობისა და სიდუხჭირის, ომებისა და მოსახლეობის მიგრაციის გამო, მეაბრეშუმეობა კახეთში დავიწყებას მიეცა.

დღეისათვის დარგის სპეციალისტების მიერ გაწეული ძალისხმევით გამოყვანილ იქნა დაავადებისადმი მედეგი ჯიშები, შენარჩუნდა თუთის აბრეშუმხვევიას გენოფონდი, რომელზეც ზრუნავს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, მუდმივად ტარდება კონფერენციები, სადაც სპეციალისტები დარგის აღორძინების გზებს განიხილავენ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია დაკავშირებულია შავი, კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მეაბრეშუმეობის ასოციაციასთან და მათთან ერთად მუშაობს პრობლემების გადაჭრის გზებზე, ჩატარდა ერთობლივი კონფერენცია, რომელშიც 12 ქვეყნის წარმომადგენელმა გამოცდილება გაუზიარა მონაწილეებს, გამოვლინდა დარგის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები და დაისახა მისი აღორძინების გზები. პირველი ნაბიჯები გადადგმულია: 2016 წელს დაინტერესებულ ფერმერებსა და ნერგების მწარმოებლებს უსასყიდლოდ დაურიგდათ თუთის ჰიბრიდული ჯიშების ნერგები, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად, ჩართული არიან მეაბრეშუმეობის აღორძინებისა და განვითარების პროექტში, აჭარაში სადემონსტრაციო ნაკვეთზე გაშენდა თუთის პლანტაცია, შეძენილია აბრეშუმის ძაფის საწარმო დანადგარები. საყურადღებოა, რომ აბრეშუმით არაბი ინვესტორებიც

დაინტერესდნენ და სოფელ ნიჩბისში 22 ჰექტარზე თუთის პლანტაცია გააშენეს.

რადგან ჩვენი ინტერესის საგანი კახეთის რეგიონის მეაბრეშუმეობის განვითარებას და სოციალურ პასუხისმგებლობას უკავშირდება, შევნიშნავ, რომ კახეთის რეგიონის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიაში ყურადღება არ არის გამახვილებული მივიწყებული, ერთ დროს პოპულარული დარგების განვითარებასა და ხელშეწყობაზე, მეაბრეშუმეობა კი ნახსენებიც არ არის. კახეთს კი, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებს, დასაქმებასა და მასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს გადასაჭრელი.

ზემოთ ნახსენები მდგრადი განვითარების ამოცანებიდან კახეთის რეგიონის მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებთათვის, პრიორიტეტულად მივიჩნევდი შემდეგ მიზნებს: 1. არა სიღარიბეს; 3. ჯანმრთელობა და კეთილდღეობა; 4. ხარისხიანი განათლება; 5. გენდერული თანასწორობა; 8. ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა; სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის; 9. მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; 11. ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება; 12. გონივრული მოხმარება და წარმოება; დედამიწის ეკოსოტემები; 17. თანამშრომლობა საერთო მიზნებისათვის.

სტატისტიკის ეროვნული ცენტრის მონაცემების მიხედვით, კახეთში 309.600 ადამიანიდან სოფლად მოსახლეობის 80%-მდე – 238 ათასი ცხოვრობს; ცალკეული მუნიციპალიტეტის გარდა არ შეინიშნება მოსახლეობის ზრდა, სახეზეა მოსახლეობის დაბერების პროცესი, დასაქმების დონე 44,3%-ს შეადგენს, უმუშევრობის დონე – 10,4%, თვითდასაქმებულია მოსახლეობის 52,4%, უმუშევარია 12,7%. არ წყდება მიგრაცია; გაზრდილია შემწეობის მიმღები მოქალაქეების რიცხვი, შესაბამისად, იზრდება სიღარიბის მაჩვენებელიც. რადგან აბრეშუმის წარმოებაში უმეტესად ქალები მუშაობდნენ, შევნიშნავ, რომ მხოლოდ 55-დან 67 წლამდე ასაკის ქალების რაოდენობა 101240-ს ,ანუ მოსახლეობის 32,7%-ს შეადგენს. შინამეურნეობიდან მიღებული შემოსავალი მცირეა – 3,5-ჯერ ნაკლებია დასაქმებულთა შემოსავალზე და 3-ჯერ ნაკლები გაცემულ პენსიაზე. მეაბრეშუმეობის აღორძინების შემთხვევაში ამ ასაკობრივი ჯგუფის ქალების დასაქმებით გარკვეულწილად შემცირდებოდა არსებული პრობლემები.

კახეთის რეგიონის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიაში ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე: მშენებლობა, გზების დაგება-შეკეთება, სარწყავი სისტემის მოწესრიგება და ა.შ. სადაც საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მამაკაცები არიან დაკავებული, გარკვეულწილად დარღვეულია გენდერული ბალანსიც. ბუნებრივია,

ქალაქებში ქალთა სამუშაო ადგილები უფრო მეტია, ვიდრე სოფლად. რეგიონის ფაქტორული ანალიზის გათვალისწინებით, შესაძლებელია, ადგილობრივ ნედლეულზე დაფუძნებით, უკვე არსებულთან ერთად, სხვა საწარმო დარგების ამუშავება, ტურიზმის სხვადასხვა მიმართულების განვითარება, აგრომრეწველობის განვითარების ხელშეწყობა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

რეგიონის ხელმძღვანელობის სოციალური პასუხისმგებლობა მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას და იქ მოსახლე ადამიანების/თემის კეთილდღეობაზე უნდა იყოს მიმართული. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ უცებ მოხდეს დარგის აღდგენა, თუმცა მის პოპულარიზაციასა და მოსახლეობის დაინტერესებას სწორედ მუნიციპალიტეტების საკრებულოებისა და თემის ერთობლივი ძალისხმევა შეუწყობს ხელს. სამოქმედო პროგრამა, რომელიც მეაბრეშუმეობის აღორძინებას ხელს შეუწყობს, შესაძლებელია 20-იან წლებში გაკვალული გზითაც განხორციელდეს, მით უმეტეს დღეს ამისთვის ტელევიზიებს, საკომუნიკაციო და სოციალურ ქსელებს დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ. ინსტრუქტორების მომზადება და ახალგაზრდების, საპენსიო ასაკს მიღწეული ქალების, სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების უნარების განვითარება ამ მიმართულებით; იმის შეხსენებაც კი, რომ 60-იან წლებში ქართული აბრეშუმი მოწინავე პოზიციებს იკავებდა და 1998 წელს ქართული მზიური ჯიშის აბრეშუმის ძაფისგან დამზადებულ ქსოვილს ევროპის ხარისხის კომისიის მიერ „პლატინის ვარსკვლავი“ ჰქონდა მინიჭებული, საქართველოდან 5 მილიონი მეტრი ქსოვილი საექსპორტოდ გადიოდა, დამატებითი სტიმული იქნება მოსახლეობის დაინტერესებისთვის. სპეციალისტები თვლიან, რომ 3-4 წელიწადში შესაძლებელია აბრეშუმის წარმოების აწყობა.

რეგიონის ხელმძღვანელობის ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩნენ ერთეული მოხალისეები, რომლებიც უკვე შეუდგნენ აბრეშუმის ჭიის მოვლას სიღნაღში, სოფელ ქვემო მაღაროში. პირველი რიგის ამოცანა ამ საქმიანობაში მოსახლეობასთან დიალოგის დაწყებაა – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მოწვევა, ლექცია-სემინარების ჩატარება და მოსახლეობისთვის ტრადიციული დარგის შესახებ ინფორმაციის მიწოდება; ინტერნეტის საშუალებით მუდმივი საკომუნიკაციო ჯგუფების, სოციალურ ქსელებში ფორუმების ორგანიზება; უკვე არსებულ საოჯახო მეურნეობებში დასაქმებულთა ოჯახის წევრებისა და სამეზობლოს ჩართვა ჯერ საგანმანათლებლო პროცესში, შემდეგ კი დასაქმება.

განათლების მიმართულებაზე თუ ვიმსჯელებთ, კახეთში 2 პროფესიული სასწავლებელია, სადაც, განათლების სამინისტროს ხელშეწყობითა და დარგის სპეციალისტების მოწვევით, აუცილებელია ერთ-ერთში მაინც მეაბრეშუმეობის სპეციალობის დანერგვა და ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის პროფესიული სწავლების ყველა დონეზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფით.

რეგიონის, ისევე როგორც მთლიანად ქვეყნის, ტურიზმის ხელშეწყობა ეკოსისტემების დაცვას და ახალი მიმართულებების დანერგვასაც ითვალისწინებს – ღვინის ქარხნებისა და მეურნეობების, საოჯახო მარნების – ტურისტულ მარშრუტებთან ერთად, ვიზიტორებისთვის საინტერესო იქნება აბრეშუმის წარმოების სხვადასხვა ეტაპების დათვალიერება: თუთის პლანტაციების გაშენებაში მონაწილეობა ან დათვალიერება, აბრეშუმის ჭიის მოვლა, ნედლი პარკის გაშრობის პროცესი, აბრეშუმის პარკისაგან ძაფის ამოხვევა თუ უკვე მიღებულ ქსოვილზე მოხატვა. ადგილობრივი ხალხური რეწვის ნიმუშებთან ერთად, აბრეშუმის ნაწარმის გაყიდვა მათ პოპულარიცაზიას, დამატებით სამუშაო ადგილების შექმნას და მდგრადი ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

აქვე დავძენ, რომ საქართველოს საკუთარი მოხმარებისთვისაც სჭირდება ქსოვილიცა და ძაფიც, რომელიც ამჟამად უცხოეთიდან შემოდის. ქსოვილის წარმოების დაწყებამდე ნედლეულის გატანაც საკმაოდ მომგებიანია, სპეციალისტები თვლიან, საქართველოს კავკასიის რეგიონში მნიშვნელოვანი საბაზრო წილის დაკავება შეუძლია. საერთაშორისო ბაზარზე კი დიდი მოთხოვნაა აბრეშუმის ჭიაზე, გრენასა და პარკზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: თუ კახეთის რეგიონის ხელმძღვანელობა საქართველოს მთავრობასთან ერთად თანმიმდევ-რულად მიჰყვება 20-იანი წლებიდან მეაბრეშუმეობის აღორძინების გეგმას, შესაძლებელი იქნება, ეს დარგი, რომელიც საუკუნეებს ითვლის და სულ რაღაც 50 წელია აღარ ვითარდება, ეკონომიკურ-პოლიტიკური კრიზისისა თუ სხვა პრობლემების გამო, კვლავ გახდეს მოსახლეობის დასაქმებისა და დამატებითი შემოსავლის წყარო. მოსახლეობაც გააქტიურდება და საზოგადოებრივ საქმიანობაში თავის წვლილს შეიტანს, რეგიონი კი უფრო მიმზიდველი გახდება ახალგაზრდების, ინვესტორებისა და ტურისტებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

აბესაძე 1957: აბესაძე ნ., მეაბრეშუმეობა საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). თბილისი, 1957.

დუმბაძე 1973: დუმბაძე მ., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბილისი, 1973.

ვახუშტი 1941: ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კუალად თუშეთისა და დიდოეთისა“. რედაქტორები: თ. ლომოური, ნ. ბერძენიშვილი. თბილისი, 1941.

ალ-კაზვინი 1975: ზაქარია ალ-კაზვინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თბილისი, 1975.

კალანდია... 2017: კალანდია გ., საგანელიძე ი., ზამბახიძე ი., ქსოვილი საქართველოდან. თბილისი, 2017.
ლამბერტი 1938: ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა. თბილისი, 1938.
ნიკოლეიშვილი... 2014: ნიკოლეიშვილი გ., შაფაქიძე ე., მეაბრეშუმეობა – შავი, კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების (BACSA) საერთო საზრუნავია. თბილისი, 2014.
სანიკიძე... 2011: სანიკიძე გ., ალასანია გ., გელოვანი ნ., ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.–XXI ს.-ის დასაწყისი). თბილისი, 2011.
შარდენი 1935: შარდენი ჟ., მოგზაურობა საქართველოში. ტფილისი, 1935.
ჯავახიშვილი 1962: ჯავახიშვილი ი., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. III, ტანსაცმელი, ქსოვილები და ხელსაქმე. თბილისი, 1962.
ჯანაშვილი 1894: ჯანაშვილი მ., საქართველოს ისტორია. თბილისი, 1894.

წყაროები

კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია http://gov.ge/files/275_38368_341843_136617.09.13%E2%80%931.pdf დამოწმება 10.12.2021.
კომუნისტი 1923: აბრეშუმის ბაზრების მდგომარეობა [მარტის დამლევს]. გაზეთი „კომუნისტი", №93, 1923.
კომუნისტი 1923: გაზეთი „კომუნისტი", 27 ოქტომბერი, №248, 1923.
კომუნისტი 1924: მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის კურსები. გაზეთი „კომუნისტი", №100, 1924,
კომუნისტი 1925: აბრეშუმის პარკის დამზადების კამპანია [საქართველოში]. გაზეთი „კომუნისტი", №158, 1925.
კომუნისტი 1931: მეაბრეშუმეობა გარე-კახეთში / გარეჯელი). გაზეთი „კომუნისტი", №74, 1931. https://agrokavkaz.ge დამოწმება: 10.12.2021.
საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გაბვითარების სტრატეგია https://napr.gov.ge/source დამოწმება 10.12.2021.
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika დამოწმება 10.12.2021.
https://sdg.gov.ge/goals-details-inner/1 დამოწმება 10.12.2022.